განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 3, ს/კ 212721170 ტელ: 4-64-48) აცხადებს კონკურს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ქ. ქუთაისში მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს.

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეს.

4. ზეპირი ვაჭრობა გაიმართება კონკურსის ჩატარების დღეს 28 აპრილსს.

5. **კონკურსში მონაწილეობის საფასური**

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 28 აპრილს 15 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (დედანი და ორი ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2011 წლის **28 აპრილს** 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 3, ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახური (მე-3 სართული, ოთახი 323), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

7. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან).
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) აფიდავიტი (შევსებული და დადასურებული კონკურსანტის მიერ).
ბ) შესყიდვის ობიექტის გაანგარიშება (ტექნიკური დავალება) დღგ–ს ჩათვლით;
გ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;
დ) ინფორმაცია უკანასკნელ წლებში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები;

9. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (***მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე),*** გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

12. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

13. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი კოტე რატიანი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3 მე-3 სართ. ოთახი №323; ტელ 4-74-73; ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახური.

საკონკურსო კომისია

ქ. ქუთაისში მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „ქალაქ-მუზეუმის“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	გაპონოვის ქუჩა №32	გოფრირებული თუნუქი	
2.	გაპონოვის ქუჩა №34	გოფრირებული თუნუქი	
3.	გაპონოვის ქუჩა №36	გოფრირებული თუნუქი	
4.	გაპონოვის ქუჩა №48	გოფრირებული თუნუქი	
5.	გაპონოვის ქუჩა №60	გოფრირებული თუნუქი	
6.	თამარ მეფის ქუჩა №60-62	გოფრირებული თუნუქი	
7.	ფალიაშვილის ქუჩა №35	გოფრირებული თუნუქი	
8.	თბილისის ქუჩა №22	გოფრირებული თუნუქი	
9.	ჩეჩელაშვილის ქუჩა №37	გოფრირებული თუნუქი	
10.	ჩეჩელაშვილის ქუჩის 1-ლი შეს. №5	გოფრირებული თუნუქი	
11.	რუსთაველის გამზ. №8	გოფრირებული თუნუქი	
12.	დავით აღმაშენებლის გამზ. №12	გოფრირებული თუნუქი	
13.	წმინდა ნინოს ქუჩა №17	გოფრირებული თუნუქი	
14.	ლომონოსოვის ქუჩა №2/1	გოფრირებული თუნუქი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „გამარჯვების“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ცხინვალის ქუჩა №1	ბიკროსტი	
2.	ჯავახიშვილის ქუჩა №49	ბიკროსტი	
3.	ზვიად გამსახურდიას გამზ. 1-ლი შეს. №9	გოფრირებული თუნუქი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „ძელქვიანის“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №7	გოფრირებული თუნუქი	
2.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №9	გოფრირებული თუნუქი	
3.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №18	გოფრირებული თუნუქი	
4.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №20	ფურცლოვანი თუნუქი	

5.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №26	გოფრირებული თუნუქი	
6.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №28	გოფრირებული თუნუქი	
7.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №34	გოფრირებული თუნუქი	
8.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №40	გოფრირებული თუნუქი	
9.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №44	გოფრირებული თუნუქი	
10.	აკაკი ხორავას ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	
11.	ლადო ასათიანის ქუჩა №94	გოფრირებული თუნუქი	
12.	დავით აღმაშენებლის გამზ. №37	გოფრირებული თუნუქი	
13.	დავით აღმაშენებლის გამზ. №39	გოფრირებული თუნუქი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„გუმათის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ავალიანის ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	
2.	იური ბერაძის ქუჩა №7	გოფრირებული თუნუქი	
3.	ონის ქუჩა №40	გოფრირებული თუნუქი	
4.	ონის ქუჩა №42	გოფრირებული თუნუქი	
5.	კრილოვის ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	
6.	ხეთაგუროვის ქუჩა №9ა	გოფრირებული თუნუქი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„მუხნარის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	სადგური „რიონი“ რკინიგზის ბინა №1	გოფრირებული თუნუქი	
2.	სადგური „რიონი“ რკინიგზის ბინა №6	გოფრირებული თუნუქი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„ნიკეას“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ნიკეას ქუჩა №1/1	გოფრირებული თუნუქი	
2.	ნიკეას ქუჩა №1/2	გოფრირებული თუნუქი	
3.	ნიკეას ქუჩა №1/3	გოფრირებული თუნუქი	
4.	ნიკეას ქუჩა №1/9	გოფრირებული თუნუქი, ბიკროსტი	
5.	ნიკეას ქუჩის 1-ლი შეს. №11ბ	გოფრირებული თუნუქი, ბიკროსტი	
6.	ნიკეას ქუჩა 19 №63	ბიკროსტი	
7.	ნიკეას ქუჩა №68	ბიკროსტი	
8.	ნიკეას ქუჩა №70	ბიკროსტი	
9.	ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №32	ბიკროსტი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„ავტოქარხნის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ლეჟავას ქუჩა №5ბ	გოფრირებული თუნუქი	
2.	ლეჟავას ქუჩა №5	გოფრირებული თუნუქი	
3.	ჩხობაძის ქუჩა №2	გოფრირებული თუნუქი	
4.	ლეჟავას ქუჩა №8	ბიკროსტი	
5.	ჩხობაძის ქუჩა №8	გოფრირებული თუნუქი	
6.	ავტომშენებლის გამზ. №29	გოფრირებული თუნუქი	
7.	კიევის ქუჩა №3	გოფრირებული თუნუქი	
8.	კიევის ქუჩა №5	გოფრირებული თუნუქი	
9.	კიევის ქუჩა №7	გოფრირებული თუნუქი	
10.	ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №6	ბიკროსტი	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„კახიანოურის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ახალგაზრდობის გამზ. №86	გოფრირებული თუნუქი	
2.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №9	გოფრირებული თუნუქი	
3.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №15	გოფრირებული თუნუქი	
4.	ლეონიძის ქუჩა №4ა	გოფრირებული თუნუქი	
5.	ახალგაზრდობის გამზ. I შეს. №6	ბრტყელი გადახურვა	
6.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №19	ბრტყელი გადახურვა	

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„უქიმერიონის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, **ავარიულსახურავიანი** საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	შენიშვნა
1.	ჯავახიშვილის ქუჩა №4	გოფრირებული თუნუქი	
2.	ჯავახიშვილის ქუჩა №16	გოფრირებული თუნუქი	
3.	დავით აღმაშენებლის გამზ. №50	გოფრირებული თუნუქი	

ბინების ჩამონათვალი, მართვის ტერიტორიული ორგანოების მიხედვით,

სადაც დაზიანებულია კორპუსის ზედა ნაწილი

ქალაქ ქუთაისის მერიის **,,კახიანოურის“** ტერიტორიული ორგანო

1. ახალგაზრდობის გამზირის მე-2 შეს. №19
2. ახალგაზრდობის გამზირი №56
3. წერეთლის ქუჩა №142

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ნიკეას“** ტერიტორიული ორგანო

1. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №9
2. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №11
3. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №13

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ძელქვიანის“** ტერიტორიული ორგანო

1. ი. ჭავჭავაძის გამზირი №46ᵃ

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ავტოქარხნის“** ტერიტორიული ორგანო

1. მესხის ქუჩის 1-ლი შესახვევის №31

შენიშვნა: სულ 74 მაღლივი სახლი.
აქედან: 66 – ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლი და 8 – დაზიანებული საცხოვრებელი სახლის ზედა ნაწილი.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა მოიცავდეს კონკურსანტის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

საკონკურსო წინადადება

თარიღი: _____ წ.
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის: <u>თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერია</u>
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____
(კონკურსანტის დასახელება)

შევისწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია. თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____ და
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: _____ ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ _____გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ
(მომსახურება)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან _____ (საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად
(დღე, თვე, წელი)
აქ შეიძლება ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის ვადები ან დაწყება–დასრულების კონკრეტული თარიღი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია ____ დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: _____
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 მარტის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

დირექტორი: _____

(ხელმოწერა)

აფიდავიტი
საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____*სახელით,*

*(*კონკურსანტის *დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)*

წარვუდგენ რა საკონკურსო წინადადებას _____

_____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და საკონკურსო *კომისიის დასახელება)*

მის მიერ_____

_____

(კონკურსის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.

6. საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

(კონკურსანტის რეკვიზიტები)

_____

(კონკურსანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.